

# ირინე ურუშაძე

ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის  
სამართლის პროცესში - საერთო სასამართლოების  
პრაქტიკის კვლევა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თბილისი 2015 წ.

<b>შესავალი</b> .....	2
<i>კვლევის აღწერა და მიზანი</i> .....	2
<i>კვლევის მეთოდოლოგია</i> .....	2
1. ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება.....	6
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.....	8
3. სისხლის სამართლის საქმეები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ.....	11
პირველი ინსტანცია .....	11
<i>განაჩენები, სადაც სასამართლომ არ გამოიყენა ირიბი ჩვენება და ნაწილობრივ გაამართლა ბრალდებული</i> .....	14
<i>განაჩენები, სადაც სასამართლომ არ გამოიყენა ირიბი ჩვენება, მაგრამ ბრალდებული გამტყუნდა</i> .....	16
<i>განაჩენები, სადაც სასამართლომ არ გამოიყენა დაცვის მხარის მტკიცებულებები</i> .....	16
<i>განაჩენები საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ</i> .....	17
უზენაესი სასამართლოს საქმეები .....	18
საკონსტიტუციო სასამართლომდე გამოტანილი განაჩენის გადახედვის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება .....	20
4. სისხლის სამართლის საქმეები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ...	21
<i>2013 წლის 14 ივნისის ცვლილებებამდე გამოტანილი განაჩენები</i> .....	21
<i>2013 წლის 14 ივნისის ცვლილებების შემდგომ გამოტანილი განაჩენები</i> .....	25
<b>დასკვნა</b> .....	28
<i>გამოკვეთილი ტენდენციები</i> .....	28
<i>რეკომენდაციები</i> .....	30

## შესავალი

### *კვლევის აღწერა და მიზანი*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№1/1/548) არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

შესაბამისად, არსებითად შეიცვალა სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების წონა და მასზე დაყრდნობით სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო განაჩენს ვერ გამოიტანს. ასევე დაუშვებელია, ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობითპირის ბრალდებულად ცნობა. აქედან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, სანამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილება განხორციელდება, ირიბი ჩვენება მტკიცებულებად ვერ იქნება გამოყენებული ბრალდებულად ცნობის და განაჩენის გამოტანის ეტაპზე.

მოცემული კვლევის მიზანია, წარმოჩნდეს რა შემთხვევებში ხდებოდა ირიბი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება ან გამოყენებაზე უარის თქმა საერთო სასამართლოებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე და როგორ ხდება ამ ტიპის მტკიცებულებაზე მსჯელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. კვლევის ფარგლებში მოხდება სისხლის სამართლის საქმეებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენის ანალიზი, გაირკვევა რა შედეგი გამოიღო გადაწყვეტილებამ განაჩენის გამოტანის პროცესზე, როგორ ესმით 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საერთო სასამართლოებს და გამოიწვია თუ არა ამ გადაწყვეტილებამ ძველი საქმეების გადასინჯვა.

### *კვლევის მეთოდოლოგია*

კვლევა იყენებს აღწერილობით მეთოდოლოგიას, კონკრეტულად კი საერთო სასამართლოების პრაქტიკის შეფასებით და შედარებით კვლევას. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მასალა გაანალიზდა იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს საერთო სასამართლო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და როგორ მსჯელობს ირიბი ჩვენების ინსტიტუტზე, რისთვისაც შეფასდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები (განაჩენები ან განჩინებები) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში, სულ 19 საქმე.

კვლევის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებამდე გამოტანილი რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის გაანალიზება მოხდა, სადაც პირდაპირ ან არაპირდაპირ საუბარი იყო ირიბი ჩვენების დასაშვებობაზე. საქმეები გაიმიჯნა 2013 წლის 14 ივნისამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისად გამოტანილ და მას შემდეგ გამოტანილ ჯგუფებად, რათა გამოკვეთილიყო ამ ცვლილების გავლენა მტკიცებულების დასაშვებობაზე, სულ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე შეფასებული იქნება 10 საქმე.

საერთო ჯამში მოძიებულია 200-ზე მეტი საქმე, რომელთა 15% მოწოდებულ იქნა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხრიდან (ძირითადად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ პერიოდში გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოების განაჩენები), ნაწილი ელექტრონული წყაროებიდან, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით და უზენაესი სასამართლოს მიერ შედგენილ გადაწყვეტილებათა კრებულებიდან. მოძიებულ საქმეთაგან გამოსაკვლევად შეირჩა ჯამში 34 საქმე, რომლებიც ქვემოთ იქნება გაანალიზებული. საქმეები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გამოტანილი გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლომ იმსჯელა ირიბ ჩვენებაზე და გამოიყენა ან არ გამოიყენა იგი;<sup>1</sup>
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გამოტანილი გადაწყვეტილებები, სადაც გამოყენებული იყო ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, თუმცა სასამართლომ მხრიდან არ მომხდარა ჩვენების დასაშვებობაზე ან ტიპოლოგიაზე მსჯელობა;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები (2015 წლის ივნისის თვის ჩათვლით), სადაც სასამართლომ იმსჯელა ირიბი ჩვენების საკითხზე.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები (2015 წლის ივნისის თვის ჩათვლით), სადაც სასამართლომ სისხლის სამართლის პროცესის სტანდარტებზე მსჯელობისას მოიხმო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული განმარტებები და მსჯელობები.

---

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საქმეთა შერჩევის ასეთი კრიტერიუმებით, თუ სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მოხდა და მტკიცებულებებიც მერე გამოიკვლია სასამართლომ, სწორი სამართალწარმოების პირობებში ირიბ ჩვენებას დაუშვებლად სცნობდა და განაჩენში არ იქნებოდა ასეთ მტკიცებულებაზე მსჯელობა. თუმცა საკვლევად შეირჩა განაჩენები იმ მიზეზით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ დაწყებული საქმეთა უმრავლესობა დასრულებული, შეიძლება, არც ყოფილიყო.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევაში, რთულია იმის დადგენა, ირიბი ჩვენება საერთოდ იყო თუ არა საქმეში (როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, ისე მის შემდეგ), თუკი განაჩენი დეტალურად არ აღწერს ჩვენებებს, რამდენადაც ასეთი მტკიცებულების დაშვების შემთხვევაში საფუძველი არ ყოფილა განმარტებული არც ერთ შესწავლილ საქმეში. შესაძლოა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომაც არსებობდეს საქმეები, სადაც ირიბი ჩვენება გამოიყენა სასამართლომ, მაგრამ ამის გამოსაკვლევად საჭიროა სისხლის სამართლის საქმეების მასალების დეტალური გამოკვლევა და ჩვენებათა ინდივიდუალური შეფასება. რამდენადაც არაერთ განაჩენში მხოლოდ მოხსენიებულია მოწმეთა ჩვენებები და მოკლედაა აღწერილი ის გარემოებები, რომელთაც ეს ჩვენებები ადასტურებს. ასეთი აღწერით შესაძლოა, არც კი გამოიკვეთოს ჩვენების ბუნება თუკი უშუალოდ არ გავეცნობით მოწმის სიტყვებს.

აღსანიშნავია, რომ ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების, გამოყენების და მისი დასაშვებობის საკითხისთვის მნიშვნელოვანია არსებული ტერმინოლოგიური პრობლემა. კერძოდ, მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მომხდარა უშუალოდ ირიბი ჩვენების დასაშვებობის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი მტკიცებულების გამოყენება პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის არაკონსტიტუციურია. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ირიბი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად არ უნდა იყოს ცნობილი.

თუმცა, მტკიცებულების გამოკვლევა და მისი დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა ხდება წინასასამართლო სხდომის ეტაპზე. საკვლევ პერიოდში მოცული განაჩენები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე დაწყებულ საქმეებს ეხება. შესაბამისად, მტკიცებულებების გამოკვლევის და მათი დასაშვებობის ეტაპი, შესაძლებელია, გავლილიც იყო ირიბი ჩვენების გამოყენების არაკონსტიტუციურად ცნობამდე, რაც ნიშნავს, რომ განაჩენის დადგომისას ირიბი ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებათა ნუსხაში იყო და სასამართლოს მხოლოდ მისი განაჩენისთვის გამოყენებაზე უარის თქმა ან ზემდგომ ინსტანციებში - ამორიცხვა შეეძლო.

კვლევა მიზნად ისახავდა გაეანალიზებინა, როგორ იმოქმედა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ მის ძალაში შესვლამდე განხილულ საქმეებზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განაჩენი უნდა გადაისინჯოს, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი. რამდენადაც გადაწყვეტილებიდან დიდი დრო არ არის გასული, ამ საკითხზე მოძიებულ იქნა მხოლოდ ერთი განჩინება, რომელიც კვლევაში მოკლედ იქნება გადმოცემული.

გამოკვეთილი ტენდენციებისა და იდენტიფიცირებული პრობლემების ფონზე, კვლევაში მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად.

## 1. ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება

დანაშაულის პრევენცია, ისევე როგორც დამნაშავის მიმართ შესაბამისი სასჯელის გამოყენება, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას ემსახურება. შესაბამისად, დამნაშავის მიმართ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მყარი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. სასჯელის უმთავრეს მიზანს სწორედ დამნაშავის გამოსწორება და შესაძლო პასუხისმგებლობის გამო ადამიანების მიერ დანაშაულის ჩადენის თავშეკავების იძულება (detering effect) წარმოადგენს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ სისხლისსამართლებრივმა დევნამ არ გამოიწვიოს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. ასეთ დროს, ერთის მხრივ, სახელმწიფო უდანაშაულო პირის მიმართ გაუმართლებლად მძიმე ღონისძიებას, სასჯელს იყენებს, ხოლო მეორეს მხრივ კი, ზოგადად იკარგება სისხლისსამართლებრივი დევნის და სასჯელის გამოყენების მიზანი. იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობა შესაძლებელს ხდის უდანაშაულო პირის მსჯავრდებას, ეჭვქვეშ დგას მის საფუძველზე დამნაშავის გამოსწორებისა და დანაშაულის ჩადენისგან თავშეკავების იძულების მიღწევა.

უდანაშაულო პირის დამნაშავედ ცნობისა და მისი დასჯის თავიდან ასაცილებლად, დემოკრატიულ საზოგადებაში ბრალდებული აღჭურვილია მთელი რიგი უფლებებით, რომლებიც ადამიანს დაუსაბუთებელი და მხოლოდ ეჭვზე დამყარებული დევნის პრევენციას უზრუნველყოფს. ხსენებულის გამოძახილს წარმოადგენს ის მოთხოვნა, რომ ბრალდება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მტკიცებულებებს. ამასთან, კანონმდებლობა ადგენს „მტკიცებულებების ავთენტურობის შემოწმების მოთხოვნას (ვალდებულებას). მისი [სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის] მიზანია, გამორიცხოს ყალბი, სახეშეცვლილი და, ამ მხრივ, არასანდო მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობა.“<sup>2</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსკ) მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№1/1/548). პარაგრაფი 9.

ალბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“.

კანონი განასხვავებს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს, მათ შორის, გამოყოფს ნივთიერ მტკიცებულებებს და მოწმის ჩვენებას. ნივთიერი მტკიცებულება თავად შეიცავს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ხოლო მოწმის ჩვენება კი არის ადამიანის მონათხრობი სასამართლოსათვის, რომელიც აწვდის მისთვის ცნობილ, ბრალდებულის დამნაშავეობა/უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მოწმის ჩვენება შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი. პირდაპირია მოწმის ჩვენება, როდესაც ის სასამართლოს მოუთხრობს იმ ფაქტებს, რომელსაც უშუალოდ შეესწრო და რომლის შესახებ ინფორმაციის პირველწყარო თავადაა. ხოლო ირიბია ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში, მოწმე ჩვენებას აძლევს იმ ფაქტებზე, რომელიც მას სხვა პირისგან შეიტყო. შესაბამისად, სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების სასამართლოსთვის მიწოდება ხდება არა თავად განცხადების ავტორის, არამედ - სხვა პირის მიერ.

ირიბი ჩვენების ბრალდებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად გამოყენების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვარის გადაწყვეტილების შედეგად. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებამდე, საპროცესო კანონმდებლობა უშვებდა ბრალდების ან გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის დროს ირიბი ჩვენების გამოყენებას თუ იგი დასაშვები მტკიცებულება იყოს სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად.

სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იყო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებდა ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელი იყო. ხოლო საქმის არსებით განხილვაზე, იგი დასაშვები მტკიცებულება იყო თუ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით. 2013 წლის 14 ივნისს დაზუსტდა 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი და მიეთითა, რომ სხვა მტკიცებულება, რომელიც ირიბი ჩვენების დასადასტურებლად გამოიყენებოდა, არ უნდა ყოფილიყო ირიბი ჩვენება. შესაბამისად, კანონმა გამორიცხა ირიბი ჩვენების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ იმავე ინფორმაციას სხვა (გარდა მეორე ირიბი ჩვენებისა) მტკიცებულებაც არ ადასტურებს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ არსებულ საკანონმდებლო რეალობას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ირიბი ჩვენების



საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი და ძალადაკარგულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ირიბი ჩვენება არ შეიძლება გამოყენებული იქნას არც პირის ბრალდებისას და არც მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილებების განხორციელებამდე.

## 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№1/1/548) ეხება ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენების კონსტიტუციურობის საკითხს.

მოსარჩელე საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან („დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“) მიმართებით სადავოდ ხდიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემდეგ ნორმებს: (ა) მე-13 მუხლის მე-2 ნაწილს - „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“; (ბ) 76-ე მუხლის მე-3 ნაწილს - „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით“ (საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის დროს მოქმედი რედაქცია); (გ) 169-ე მუხლის პირველი ნაწილს - „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“.

აღნიშნული სადავო ნორმებით დადგენილი იყო პირის ბრალდებულად ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენის მტკიცებულებითი სტანდარტები, ასევე, ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები. რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის რედაქცია შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის

წარმოებისას,<sup>3</sup> საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმის განხილვის მომენტისათვის, სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. ხოლო ამავე კანონის მე-6 პუნქტის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმის გაუქმება ხდება სარჩელის არსებითად მიღების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი გადაწყვიტოს იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. სადავო ნორმა კი მანამ შეიცვალა, ვიდრე სარჩელი არსებითად იქნებოდა მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში. შედეგად, საქმისწარმოება შეწყდა სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში და საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ იმსჯელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობაზე - ანუ, ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმის შესაბამისობაზე *in dubio pro reo* (ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ) პრინციპთან.

მოწმე ირიბი ჩვენებით მართლმსაჯულებას აწვდის ინფორმაციას ისეთ ფაქტზე ან ბრალდებისთვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებაზე, რომლის თვითმხილველი თავად არ ყოფილა და რის შესახებაც სხვა პირმა უამბო. შესაბამისად, ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს არა დანაშაულის ან ბრალდებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტის არსებობაზე, არამედ ადასტურებს, რომ ასეთ ფაქტზე სხვა პირმა მიუთითა. საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა თუ რამდენად უტყუარ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს იმ მოწმის ჩვენება, რომელიც გამოძიებას ან სასამართლოს სხვისგან მიღებულ ინფორმაციას აწვდის და შეიძლება თუ არა, ასეთი ინფორმაცია ბრალის წაყენების ან გამამტყუნებელი განაჩენისთვის იყოს საკმარისი. გასაჩივრებული კანონი დასაშვებად მიიჩნევა ნებისმიერ ირიბ ჩვენებას, თუ იგი დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით (რომელიც არ იყო ირიბი ჩვენება).

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ზოგადად, ირიბი ჩვენება ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მაღალია იმის საფრთხე, რომ ირიბი ჩვენების მოსმენის შედეგად, მოსამართლეს ან/და ნაფიც მსაჯულებს ჩამოუყალიბდეს ან გაუმყარდეს რწმენა, რომ ბრალდებულმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, რაც პირის დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ დასჯის ალბათობას ზრდის.<sup>4</sup>

---

<sup>3</sup> 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“.

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№1/1/548). პარაგრაფი 52.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამომწურავად არ მიუთითებია იმ შემთხვევებზე, როდესაც შესაძლებელია, ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იყოს. თუმცა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ირიბი ჩვენება არ უნდა გამოიყენებოდეს იმ შემთხვევაში, როდესაც თვითმხილველი მოწმის ჩვენების ჩანაცვლება რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე ხდება ირიბი ჩვენებით. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა, რომ გამონაკლის შემთხვევაში, ირიბი ჩვენების სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება კონსტიტუციის შესაბამისი იყოს. მაგრამ, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ირიბი ჩვენების ზოგად დასაშვებობას, მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ამის აუცილებლობა არ არსებობს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. [...] მტკიცებულება არ უნდა უქმნიდეს ფაქტების დამდგენს მცდარ წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.“<sup>5</sup>

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, აგრეთვე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

---

<sup>5</sup>იხ. სქოლიო 4. პარაგრაფი 51.

### 3. სისხლის სამართლის საქმეები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ

#### პირველი ინსტანცია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების შემდგომ, საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არსებითად უნდა შეცვლილიყო მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ მიდგომა. ვინაიდან, არაკონსტიტუციურადაა გამოცხადებული სსკ-ის მე-13 და 169-ე მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომლითაც ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაა შესაძლებელი.


2015 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა ირიბი ჩვენების თაობაზე 19 საქმეზე იმსჯელეს და ყველა შემთხვევაში ასეთი ტიპის მტკიცებულება არ გამოიყენეს განაჩენის გამოსატანად. იმისათვის, რომ შეფასდეს რამდენად მართებულად ხდება მტკიცებულებათა შეფასება სასამართლოს მიერ, საჭიროა, რამდენიმე განაჩენის მიმოხილვა. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები საკვლევ პერიოდში გამოტანილ რამდენიმე განაჩენში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ციტირებას ახდენდნენ იმ ნაწილებზე, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის სტანდარტებს ეხებოდა. კერძოდ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე ან გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე მითითებისას, სასამართლოები იხმობდნენ გადაწყვეტილებას და მისი მეშვეობით განმარტავდნენ ამ საკითხებს. განაჩენის ტექსტებიდან არ იკვეთება, რომ საქმეებში იყო ირიბი ჩვენება, ცალკეულ შემთხვევებში იყო არასანდო ან ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები, ხოლო ზოგ შემთხვევაში, სასამართლომ განაცხადა, რომ უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები იყო საქმეში წარმოდგენილი.<sup>6</sup> მისასაღმებელია საერთო სასამართლოების მხრიდან სისხლის სამართლის პროცესის სტანდარტების განმარტებისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გამოყენება, რაც განაჩენის დასაბუთების ხარისხს საგრძნობლად ზრდის. თუმცა, კვლევამ წარმოაჩინა მთელი რიგი ხარვეზები, რომელთა დასახვეწად, აუცილებელია, შესაბამისი ორგანოების აქტიურობა. ანგარიშის დასასრულს მოცემულია რეკომენდაციები და წინადადებები.

საკვლევი პერიოდის მანძილზე, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოებმა უარი თქვეს ირიბი ჩვენებების გამოყენებაზე, უმრავლეს შემთხვევაში, აღწერილი იყო, რატომ არ იყენებდა სასამართლო ასეთ ჩვენებებს. მათი ტიპოლოგია ასე გამოიყურება:

---

<sup>6</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის განაჩენი საქმეზე N1/255-2013; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განაჩენი საქმეზე N1/760-2014; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის განაჩენი საქმეზე N 1/255-14; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის განაჩენი საქმეზე N 1/217-14.

ჩვენების ტიპი	საქმეთა რაოდენობა
იმეორებს სხვა მოწმის/ზრალდებულის/დაზარალებულის ჩვენებას <sup>7</sup>	12
ვერ უთითებს წყაროს <sup>8</sup>	4
ირიბი მტკიცებულებაა (არ მიუთითებს უშუალოდ ფაქტზე) <sup>9</sup>	6
არ იკვეთება ტიპოლოგია (არ არის ჩვენებები აღწერილი) <sup>10</sup>	2



<sup>7</sup> სასამართლოს განმარტებით ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია სხვა პირის მიერ გავრცელებულია და სასამართლოს უკვე მიღებული აქვს სხვა პირისაგან.

<sup>8</sup> მოწმეთა ჩვენებები ეხება გადმოცემულ ინფორმაციას, თუმცა ზუსტი წყაროს დადგენა შეუძლებელია (მოწმეს უთხრეს/უამბეს ან მოწმემ გაიგო რაღაც ინფორმაცია).

<sup>9</sup> სასამართლო განაჩენებში ტერმინი „ირიბი ჩვენება“ და „ირიბი მტკიცებულება“, როგორც სინონიმური მნიშვნელობის ტერმინები, ისეა გამოყენებული. ამ ცხრილში „ირიბ მტკიცებულებად“ მიჩნეულია ისეთი ჩვენება, რომლითაც მოწმე სასამართლოს აწვდის ინფორმაციას ისეთი ფაქტის შესახებ, რომელსაც მოწმე თავად არ შესწრებია და თვითმხილველი არ არის. მაგალითად, ჩვენება შეიძლება ეხებოდეს დანაშაულად შერაცხულ ფაქტს ირიბად და გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდეს მსმენელს ძირითადი ფაქტის შესახებ, მაგრამ რამდენადაც უშუალოდ დანაშაულის ფაქტზე ინფორმაციას არ იძლევა, ირიბია და დაუშვებელი. მტკიცებულება რომ ფაქტებს უნდა ეხებოდეს და არა ირიბად დაკავშირებულ მოვლენებს, უტყუარობის სტანდარტიდანაც გამომდინარეობს და მისი დაუშვებლად ცნობისათვის 76-ე მუხლის დებულებებს ან ირიბი ჩვენების გამოყენების კონსტიტუციურობას მნიშვნელობა არ აქვს, ისედაც დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული.

<sup>10</sup> ის, რომ ჩვენება ირიბია ჩანს მხოლოდ სასამართლოს განაჩენიდან, არ არის აღწერილი ჩვენების შინაარსი ან რატომ მიიჩნევს სასამართლო მას ირიბად.

## **განაჩენები, სადაც ირიბი ჩვენება დაუშვებლად იქნა მიჩნეული და ბრალდებული გამართლდა**

საკვლევ პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა განაჩენის გამოტანისას დაუშვებლად ცნეს ირიბი მტკიცებულებები, რის შედეგადაც, საქმეზე ველარ მოხდა მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობის შექმნა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დაარწმუნებდა ობიექტურ პირს ბრალდებულის დანაშაულში. გამოკვლეული 19 საქმიდან ხუთ საქმეში სწორედ ასეთი ვითარება იყო.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ გამამართლებელ განაჩენში სასამართლომ დეტალურად იმსჯელა ირიბ ჩვენებაზე და მიუთითა, რომ იგი დაუშვებელი იყო მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განმარტების ფარგლებში, კერძოდ ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2015 წლის 20 აპრილის განაჩენით საქმეზე N1/596-14, კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ირიბი ჩვენება დაუშვებლად მიიჩნია, რამდენადაც „ინფორმაციის პირველწყაროს იდენტიფიცირება და მისი რეალურად არსებობს შემოწმება შეუძლებელია“. მართალია, პირველწყაროს იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად (სანამ ცვლილება არ განხორციელდება საპროცესო კანონმდებლობაში), ასეთი ჩვენება მაინც ვერ იქნებოდა გამოყენებადი, სასამართლოს მიდგომა არსებითად სწორია. ამავე განაჩენში, სასამართლომ ასევე უარი თქვა დაყრდნობადა სხვა ჩვენებებს, რომლებიც სასამართლოს აძლევდნენ საქმეში მეორე ბრალდებულისაგან გამოძიების განმავლობაში მიღებულ ინფორმაციას. სასამართლომ განაცხადა, რომ „[ორი მოწმის ჩვენება] არ წარმოადგენს [ბრალდებულის]ქმედებასთან დაკავშირებით [მეორე ბრალდებულის] ჩვენებისაგან დამოუკიდებელ მტკიცებულებებს, რასაც შეიძლება სასამართლო დაეყრდნოს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას“.

დანარჩენ ოთხ განაჩენში<sup>11</sup>სასამართლომ არ გამოიყენა ბრალდების დასადასტურებლად მიცემული ირიბი ჩვენებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მიუთითა რა, რომ ბრალდებულის გამტყუნებისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილება და პირდაპირი მტკიცებულებები. გორის რაიონული სასამართლოს განაჩენის გარდა, ყველა სხვა საქმე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე და მის საფუძველზე ამორიცხავს ირიბ ჩვენებებს. გორის რაიონულმა სასამართლომ კი საკუთარი არგუმენტაცია მხოლოდ სსსკ-ის 76-ე მუხლის დებულებებს დააყრდნო და დაადგინა, რომ „ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ „კანაფის“ ჯიშის მცენარე დათესილი იქნა ბრალდებულის მიერ და ამ მცენარეებს უვლიდა ე.ხ. [ბრალდებული]. მისი ბრალდება ემყარება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს“. მართალია, სასამართლო მსჯელობს

<sup>11</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განაჩენი საქმეზე N 1/650-14; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/5471-13; გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/251-14 და სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/115-14

ირიბი ჩვენების დაუშვებლობაზე, თუმცა იგი არ უთითებს რატომ არის კონკრეტული ჩვენებები ირიბი, იგი მხოლოდ „ირიბ მტკიცებულებებს“ გამოყოფს და აღნიშნავს, რომ ჩვენებები პირდაპირ ვერ ადასტურებენ ბრალდებაში მითითებულ ფაქტს („კანაფის“ ჯიშის მცენარის დათესვისა და მოვლის ფაქტს). სასამართლოს მხრიდან არასწორია 76-ე მუხლზე მითითება, მაშინ, როდესაც ირიბი ჩვენება საქმეში არ არსებობდა.<sup>12</sup> თუმცა მართებულია სასამართლოს მიდგომა, რომ მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელ განაჩენს ვერ მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენ ოთხ საქმეში, განსაკუთრებით კი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში, მოსამართლეები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებას იყენებენ არა მხოლოდ ირიბი ჩვენების გამოყენებაზე უარის სათქმელად, არამედ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სტანდარტების განსამართლად და უთითებენ, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ხოლო ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მისასალმებელია საერთო სასამართლოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ასახული კონსტიტუციური სტანდარტების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს განაჩენის უკეთეს დასაბუთებას და, შესაბამისად, ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების მეტ დაცულობას.

### ***განაჩენები, სადაც სასამართლომ არ გამოიყენა ირიბი ჩვენება და ნაწილობრივ გაამართლა ბრალდებული***

საკვლევ პერიოდში, 7 საქმეზე გამოტანილია განაჩენი<sup>13</sup> ბრალდებულის ნაწილობრივ დამნაშავედ ცნობის თაობაზე. დასახელებული საქმეების უმრავლესობაში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი იყო მტკიცებულებები, რომლებიც იმეორებდნენ პროცესის სხვა მონაწილეების (სხვა მოწმეების, ბრალდებულის ან დაზარალებულის) ჩვენებებს.

ორ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებები არ მიუთითებენ უშუალოდ ბრალდების მიერ მითითებულ ფაქტებზე. ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ასეთ შემთხვევაზე აღნიშნა, რომ ჩვენებები ირიბი მტკიცებულებებია და ასეთი ჩვენებების გაზიარება იქნებოდა

<sup>12</sup> სასამართლო ჩვენებათა აღწერისას არ აცხადებს, რომ მოწმეებმა სხვა პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გადასცეს სასამართლოს, შესაბამისად, ჩვენებების ირიბად მიჩნევა შეუძლებელია განაჩენის ტექსტიდან გამომდინარე.

<sup>13</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის განაჩენი საქმეზე N1/5400-14; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 მარტის განაჩენი საქმეზე N1/1118-13; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 9 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/101-14; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის განაჩენი საქმეზე N1-195; თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 9 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/147-14; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის განაჩენი საქმეზე N1/63-15; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 მარტის განაჩენი საქმეზე N1/151-2014.

„ბრალდების ერთ-ერთი ეპიზოდის ნაწილში განაჩენის არსებითი ან ერთადერთი საფუძველი, რაც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის დადგენილ სტანდარტს არ ესადაგება“.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენში კი, სასამართლომ არ გამოიყენა ჩვენებები, რომლებში მოცემული ინფორმაციის პირველწყარო არ იყო იდენტიფიცირებადი (ზოგადი ხასიათის ჩვენებები), ისევე, როგორც ჩვენებები, რომლებიც ირიბ მტკიცებულებას წარმოადგენდნენ - არ უთითებდნენ უშუალო ფაქტის შესახებ და სხვა, არარელევანტურ ინფორმაციას აწვდიდნენ სასამართლოს. კერძოდ, ბრალდებულთა ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდება ეყრდნობოდა „დაუშვებელ ირიბ ჩვენებებს, რომლებიც სასამართლოს ბრალდებულების ქურდული სამყაროს წევრობის თაობაზე მხოლოდ ზოგად, ბუნდოვან ინფორმაციას აწვდიან და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ იციან ბრალდებულების ქურდული სამყაროს წევრობის შესახებ. არც ერთმა მოწმემ ვერ დააკონკრეტა, თუ რაში გამოიხატება ბრალდებულების ქურდული სამყაროს წევრობა“. სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაუშვებელ ირიბ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ინფორმაციის წყაროს ვერ ასახელებენ, ინფორმაციას ვერ აკონკრეტებენ და კონკრეტულ ქმედებებზე ვერ მიუთითებენ, ვერ დაეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენი“. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ასეთი ჩვენებების ირიბ ჩვენებად მიჩნევა არაა სწორი, რამდენადაც ბუნდოვანი და ზოგადი ჩვენება არაა ირიბი. იგი, შესაძლოა, ჩაითვალოს ე.წ. „ირიბ მტკიცებულებად“, რამდენადაც უშუალოდ ფაქტზე არ მიუთითებს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ამ ტიპის მტკიცებულებაზე არ ჰქონია. მეორეს მხრივ, სწორია სასამართლოს მიდგომა, არ გამოიყენოს ასეთი ჩვენებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, რადგან ინფორმაციის პირველწყაროს იდენტიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდეც და მას შემდეგაც სავალდებულოა ჩვენების დასაშვებ მტკიცებულებად ცნობისათვის. სასამართლოს ასეთი ტიპის ჩვენებები დაუშვებლად უნდა ეცნო მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე და მათზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანაზე მსჯელობა არც უნდა მომხდარიყო.

გარდა ზემოაღნიშნული საქმეებისა, აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 იანვრის განაჩენი საქმეზე N1/3840-14, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, თუმცა საქმეში არსებული ჩვენებები, რომლებიც სასამართლომ არ გამოიყენა, არ მიუთითებდა ბრალდების შესაბამის ფაქტებზე, რაც სასამართლომ ირიბ მტკიცებულებად ჩათვალა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, არ გაითვალისწინა ისინი. შედეგად, იმ ეპიზოდში, რომელზედაც ირიბი მტკიცებულებების გარდა სხვა მტკიცებულება არ არსებობდა, ბრალდებული გამართლდა, ხოლო საპროცესო შეთანხმება კი დამტკიცდა დანარჩენ ეპიზოდებზე, რომელზედაც განაჩენის თანახმად, სასამართლო პირდაპირ მტკიცებულებებს დაეყრდნო.



**განაჩენები, სადაც სასამართლომ არ გამოიყენა ირიბი ჩვენება, მაგრამ ბრალდებული გამტყუნდა**

საკვლევ პერიოდში, რამდენიმე საქმეზე ბრალდებულის გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა სისხლის სამართლის წარმოება. სამი საქმე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ იყო განხილული<sup>14</sup> და სამივე შემთხვევაში, მოწმეთა ირიბი ჩვენებები, როლებიც არ გამოიყენა სასამართლომ ეხებოდა ფაქტებს, რომელთაც მოწმეები არ შესწრებიან ან/და სხვა პირის მონათხრობს გადმოსცემდნენ.<sup>15</sup> არცერთ საქმეში მოცემული არაა ჩვენებების ზუსტი შინაარსი, შესაბამისად, რთული გადასამოწმებელია, რეალურად რა შინაარსის ჩვენებები მისცეს მოწმეებმა. სასამართლომ სამივე შემთხვევაში მიმოიხილა სხვა მტკიცებულებები და დაასკვნა, რომ ბრალდება დასტურდებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობით.

**განაჩენები, სადაც სასამართლომ არ გამოიყენა დაცვის მხარის მტკიცებულებები**

ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენით საქმეზე N1/142-14 დაუშვებლად იქნა ცნობილი მტკიცებულებები - მოწმეთა ირიბი ჩვენებები (სულ ექვსი ჩვენება), რომლებიც დაცვის მხარის მიერ იყო საქმეში წარდგენილი. საქმე ეხებოდა ლ.დ.-ს მიერ შ.ო.-ს ცემის ფაქტს (დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით). საქმეში დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მოწმეთა ჩვენებები მიუთითებდნენ ბრალდებულის მონათხრობზე. კერძოდ, მოწმეთა ერთი ნაწილი განმარტავდა, თუ რა მიზეზით მოხდა შელაპარაკება ბრალდებულის ან სხვა პირთა გადმოცემით; მოწმეები ასევე აღნიშნავდნენ, რომ ბრალდებულს ჰქონდა სხეულის დაზიანებები, რომლებიც ამ უკანასკნელის განცხადებით, საქმეში დაზარალებულად ცნობილი შ.ო.-ის მიერ იყო მიყენებული. ამ მონათხრობებზე დაყრდნობით, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ ბრალდებული მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, რამდენადაც დაზარალებული მას ქვებს უშენდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება და მის საფუძველზე განაცხადა, რომ ვერ მიიღებს ირიბ ჩვენებებს, როგორც მტკიცებულებებს. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ მიუთითა შემდეგი: „სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს [...] გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, ძალადაკარგულია სისხლის სამართლის საპროცესო

<sup>14</sup>2015 წლის 14 მაისის განაჩენი საქმეზე 1/127-2014; 2015 წლის 17 აპრილის განაჩენი საქმეზე 1/146-2014; 2015 წლის 4 ივნისის განაჩენი საქმეზე 1/145-2014.

<sup>15</sup> სასამართლო განაჩენში უთითებს, რომ ჩვენებები, „[საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების] შესაბამისად, ვერ დაედება პირის ბრალეულობას საფუძველად“. სასამართლო აღნიშნულ საქმეებში არ აღწერს რა ინფორმაციას იძლევა წარმოდგენილი ჩვენებები, მხოლოდ ერთ საქმეში უთითებს, რომ „სასამართლო ვერ გაიზიარებს“ ცალკეული მოწმეების „ჩვენებებს, ვინაიდან ისინი არ არიან მომხდარი ფაქტის თვითმხილველები და მათი ჩვენებები საქმესთან შემხებლობაში არ არიან“. აქედან გამომდინარე, საქმეში მოცემული ჩვენებები სხვა პირის მოთხრობილ ინფორმაციას გადმოსცემს თუ არა, ცალსახა არაა.

კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს [...] ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას“. მიუხედავად ამ განცხადებისა, სასამართლომ მაინც დაუშვებლად ცნო ის მტკიცებულებები, რომლებიც ბრალდებულის სასამართლებლად დაცვის მხარემ წარადგინა.

შეუძლებელია იმის გამოკვლევა, რა შედეგს მოიტანდა დაუშვებლად ცნობილი ექვსი მოწმის ჩვენების საქმეში გამოყენება. მათ მიერ მოთხოვნილი თანახმად, შესაძლოა, სასამართლოს გაჩენოდა გონივრული ეჭვი, რომ ბრალდებულს დაზარალებული მართლაც ქვებს ესროდა და თავის დასაცავად იგი იძულებული გახდა თავად ეცემა დაზარალებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლომ მოწმეთა ჩვენებები მთლიანად არ მიიღო და არ გაუმიჯნავს, ჩვენებების რა ნაწილი იყო ირიბი ხასიათის და რა ნაწილი - პირდაპირი ხასიათის. დაუშვებლად ცნობილ ჩვენებათა უმრავლესობაში მოცემული იყო ისეთი გარემოებებიც, რომელთაც მოწმეები თავად შეესწრნენ (ისინი აღწერდნენ შელაპარაკების ფაქტებს, მიუთითებდნენ, რომ ბრალდებულს მომხდარი ფაქტის მეორე დღეს თავის არეში დაზიანებები ჰქონდა მიღებული).

მოცემულ საქმეში სასამართლოს მხრიდან არასწორად იქნა გაგებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ირიბი ჩვენება მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი არ შეიძლება იყოს, დაცვის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მხოლოდ ირიბი ჩვენებებიც რომ ყოფილიყო, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა მათზე და, მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოერიცხა, თუ მათი გამოყენება პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს იძლეოდა, ხოლო თუ მტკიცებულებები პირის გამამართლებელ ინფორმაციას ეხებოდა, სასამართლოს ისინი აუცილებლად უნდა გამოეყენებინა.

### ***განჩინებები საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ***

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში, ირიბი ჩვენების დაუშვებლობის გამო, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად საკმარისი საფუძველი არსებობდა. კერძოდ, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ორი განჩინებით (საქმეებზე N1/88-15 და N1/361-14) პროკურორს უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე. სასამართლომ ორივე შემთხვევაში აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

ორივე საქმეში სასამართლომ მოიშველია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ დაუშვებელია პირის ბრალდებულად

ცნობა ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით. იმსჯელა წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და დაასკვნა, რომ საქმეში არ იყო ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რაც აუცილებელია საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის დაწესებული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად ორივე საქმეზე, საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდა.

### **უზენაესი სასამართლოს საქმეები**

2015 წლის 22 იანვრის შემდეგ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებშიც არის იმსჯელობა ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენების საკითხზე. კერძოდ, 2015 წლის 11 მარტს გამოტანილ განაჩენში საქმეზე N483აპ-14 სასამართლომ ამორიცხა ერთ-ერთი მოწმისა და გამომძიებლების ირიბი ჩვენებების ის ნაწილები, რომლებიც იმეორებდნენ ბრალდებულების მიერ მიცემულ აღიარებით ჩვენებებს. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით სხვა საქმეებისაგან, უზენაესმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში პირდაპირ მიუთითა მტკიცებულების ამორიცხვაზე<sup>16</sup> და არა უბრალოდ მათ საფუძველზე განაჩენის გამოტანის შეუძლებლობაზე.

2015 წლის 23 აპრილს გამოტანილ განაჩენზე საქმეზე N483აპ-14, სასამართლომ, მართალია, არ იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, თუმცა განაცხადა, რომ ერთ-ერთი მოწმის ჩვენება ბრალდებულის ქმედების დასადგენად იყო ირიბი და არ იყო საკმარისი ფაქტის უტყუარად დადგენისთვის. შესაბამისად, სასამართლომ გაამართლა ბრალდებული და ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის დასადგენად და, შესაბამისად, ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისათვის, ვინაიდან არ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

სასამართლომ საკმაოდ ვრცლად იმსჯელა ირიბი ჩვენების გამოყენების თაობაზე 2015 წლის 5 მაისის განაჩენში საქმეზე N440აპ-14 და განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ირიბ ჩვენებას სამართლებრივ შეფასებას ვერ მისცემდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი განმარტავდა, რომ სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას გამოიყენოს ირიბი ჩვენება, რაზედაც სასამართლომ განაცხადა, რომ „მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ არ იმსჯელა 76-ე მუხლის მესამე ნაწილზე (საკანონმდებლო რედაქციის შეცვლის გამო), მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც სამოტივაციო, ისე სარეზოლუციო ნაწილებიდან

<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს ცალკე მტკიცებულების ამორიცხვის ინსტიტუტს. პრაქტიკაში მტკიცებულების ამორიცხვა წარმოადგენს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის ინსტიტუტს, განაჩენის გამოტანის შემდგომ. რამდენადაც მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი საქმის არსებითი განხილვისას წყდება, შემდგომ ეტაპზე ტერმინის „დაუშვებლად ცნობა“ გამოყენება არალოგიკური იქნებოდა, რის გამოც აპელაციისა და კასაციის ეტაპზე გამოიყენება ტერმინი „ამორიცხვა“.

გამომდინარე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი რა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, - სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს ირიბი ჩვენება მტკიცებულების სახით მანამ, სანამ საკანონმდებლო ორგანო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მომავალში არ შეიტანს შესაბამის ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.“ აღნიშნული მსჯელობის შედეგად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, სამართლებრივი შეფასება მიეცა ირიბი ჩვენებებისთვის.

ყურადღების ღირსია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განაჩენი საქმეზე N2კ-14აპ-15, სადაც სასამართლომ იმსჯელა ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაზე და განაცხადა, რომ იგი „იმ ნაწილში, რომ ა.ბ.-მ [ბრალდებულმა] დაჭრა ა.კ.-ე [დაზარალებული], თავისი სამართლებრივი ბუნებით არის მოწმის ირიბი ჩვენება (რაც არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ), ვინაიდან ეფუძნება სხვა პირის - ამ შეთხვევაში ა.ბ.-ს [ბრალდებულის] მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ხოლო ამ უკანასკნელმა კი უარყო მის მიერ აღნიშნული ინფორმაციის თ-სთვის [მოწმისთვის] მიწოდება.“ სასამართლომ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ რამდენადაც სხვა არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ ადასტურებდა ბრალდებულის მიერ დაზარალებულის დაჭრის ფაქტს, ირიბი ჩვენება ვერ იქნებოდა ბრალდებულის მსჯავრდების საფუძველი. ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომ საქმეში არსებობდა სხვა პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა და მოწმეთა ჩვენებებზე მსჯელობისას დაასკვნა, რომ რიც შემთხვევაში ჩვენებები არ უთითებდნენ არც პირდაპირ და არც ირიბად ისეთ ფაქტებს, რაც მსჯავრდებისათვის მტკიცებულება იქნებოდა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზით გამოიკვეთა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენება აღარ ხდება კასაციის ეტაპზე გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველად. საქმეებში, სადაც ირიბი ჩვენებები ფიგურირებდა, სასამართლომ ამორიცხა ისინი და მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

მეორეს მხრივ, წარმოჩინდა უზენაესი სასამართლოს პოზიცია, რომ სასამართლო ვერ გამოიყენებს ირიბ ჩვენებას, მანამ სანამ სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები არ იქნება განხორციელებული. ასეთი განცხადება მიუთითებს, რომ სასამართლო ხელისუფლება გარკვეულწილად ელის ირიბი ჩვენების დროულ რეგლამენტირებას, რათა იგი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად გამოიყენოს .

## საკონსტიტუციო სასამართლომდე გამოტანილი განაჩენის გადახედვის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიქმნა ცალკეული სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის საფუძველი. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განაჩენი უნდა გადასინჯოს, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

კვლევის პერიოდში მხოლოდ ერთი განჩინება იქნა მოძიებული, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 22 ივლისს საქმეზე N1/ა.გ-155-15 უარი ეთქვა მსჯავრდებულს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი ითხოვდა საქმის სსსკ 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადასინჯვას. განაჩენში აღნიშნულია, რომ შუამდგომლობის ავტორის განცხადებით, განაჩენი მხოლოდ მოწმეთა ირიბ ჩვენებებს ეფუძნება. სააპელაციო სასამართლომ კი განაცხადა, რომ „განაჩენი ემყარება, როგორც მოწმეთა პირდაპირ ჩვენებებს, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას“. ამ ერთი ფრაზის გარდა, სასამართლოს არ შემოუთავაზებია სხვა არანაირი მსჯელობა, არ ჩანს მართლაც იყო თუ არა საქმეში ირიბი ჩვენებები და მათ რა გავლენა ჰქონდათ განაჩენის გამოტანაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შუამდგომლობის ავტორი მიუთითებდა რომ ირიბი ჩვენებების გარდა სხვა მტკიცებულებები არ ყოფილა განაჩენის საფუძველი, სასამართლო მაინც ვალდებული იყო შეემოწმებინა ერთი ირიბი ჩვენება მაინც იყო თუ არა განაჩენის საფუძველი და ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, უნდა ემსჯელა რამდენად აკმაყოფილებდა დარჩენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

#### 4. სისხლის სამართლის საქმეები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე

კვლევის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია რამდენიმე ისეთი საქმის მიმოხილვაც, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე იყო მიღებული. კვლევის ფარგლებში მოკვლეულ იქნა რამდენიმე ათეული განაჩენი, მათგან შეირჩა ათი განაჩენი, რომლებშიც ირიბი ჩვენება არსებობდა (ან პირდაპირ მიუთითებდა ამას სასამართლო, ან არ მიუთითებდა, მაგრამ ჩვენების აღწერიდან ჩანს, რომ იგი ირიბია). ამ მხრივ, საქმეები ორი მიმართულებით უნდა გაიმიჯნოს - 2013 წლის 14 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე (ამოქმედდა 2013 წლის 27 ივნისს) გამოტანილი განაჩენები და ამ პერიოდის შემდგომ, რამდენადაც ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების დასაშვებობის კრიტერიუმები, ამ პერიოდებში არსებითად განსხვავებული იყო.

##### *2013 წლის 14 ივნისის ცვლილებებამდე გამოტანილი განაჩენები*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინებით საქმეზე N2კ-799აპ-07 სასამართლომ ძალაში დატოვა გამამტყუნებელი განაჩენი და მიიჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებული იყო. საქმეში ფიგურირებდა დაზარალებული პირის (როგორც გარდაცვლილი პირის მამის) ჩვენება, რომელმაც მომხდარი მხოლოდ გადმოცემით იცოდა და უშუალოდ არც ერთ ფაქტს არ შესწრებია. სასამართლოს არ უმსჯელია ამ მტკიცებულების ხასიათზე, აღსანიშნავია, რომ ამ საქმის გადაწყვეტისას მოქმედებდა 1998 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 111-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო მტკიცებულება თუ იგი მიღებული იყო „პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.“ ამავე კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად კი, „მოწმის ჩვენება არის შეტყობინება ფაქტობრივი მონაცემების შესახებ, რომლებიც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე. მოწმის შეტყობინება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ იგი მოწოდებული ფაქტის წყაროს ვერ მიუთითებს“.

აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, ამ საქმეში გამოყენებული ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იყო. აქვე ხაზგასმის ღირსია 1998 წელს მიღებული კოდექსის 440-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის შესაბამისად, „სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შეძლებისდაგვარად პირველწყაროდან უნდა მიიღოს.“ შესაბამისად, იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით, ჩვენება, რომლითაც მომხდარი ფაქტი სხვა პირის გადმოცემით მიეწოდება სასამართლოს, დასაშვები იყო. თუმცა სასამართლოს განაჩენში არაა მსჯელობა, რომ დაზარალებულის მამის ჩვენება ირიბია და თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ იგი დასაშვებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის განაჩენით საქმეზე N81აპ-10 საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის განაჩენით, რომელმაც ბრალდებულები მკვლელობასა და იარაღის უკანონო ტარებაში დამნაშავედ ცნო,

ბრალდებულის და დაზარალებულის ჩვენებების, სატელეფონო ზარების არსებობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და ირიბი მოწმის ჩვენების საფუძველზე. კერძოდ, მოწმის ირიბი ჩვენებით მას ბრალდებული მოუყვა დანაშაულის ჩადენის შესახებ. სასამართლომ აღნიშნული უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნია და მიუთითა: „მოწმე ა.ბ-ა მიუთითებს, რომ ა.გ-მა უამბო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ კონკრეტული დეტალების მითითებით, რაც ემთხვევა დაზარალებულთა ჩვენებებს და უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და რაც შეიძლებოდა სცოდნოდა მხოლოდ დამნაშავეს. მოწმემ ისიც აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის გადმოცემით, იგი და მისი თანამზრახველი იდგნენ სადარბაზოში, სიბნელეში, სადარბაზოს ორი გასასვლელი ჰქონდა და ისე რომ არც უსაუბრიათ, ესროლეს გ. ჩ-ს და მის მეგობრებს. საგულისხმოა, რომ ა.ბ-ა ჩვენებით მომხდარი ფაქტისთანავე, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე დაუკავშირდა ა.გ-ი და უამბო ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, ხოლო პოლიციას დანაშაულის შესახებ შეატყობინეს 23 საათსა და 51 წუთზე. ამასთან, ა.გ-მა ა.ბ-ას სთხოვა გაერკვია, რამდენი პირი იყო დაჭრილი“. აღნიშნულ საქმეში მოწმის ირიბი ჩვენება ფაქტობრივად ერთადერთი მტკიცებულება იყო, რომელიც ადასტურებდა ბრალად შერაცხულ ფაქტს და სასამართლომ მის საფუძველზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. იმ დროისათვის მოქმედი 1998 წლის კოდექსით, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოწმემ უნდა მიუთითოს ჩვენების პირველწყარო, რამდენადაც მოწმე უთითებდა პირველწყაროს, ასეთი მტკიცებულება დასაშვები იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ნოემბრის განაჩენით საქმეზე N323-აპ-12 შედარებით განსხვავებული მიდგომა გამოყენებული, კერძოდ, განაჩენში არ ყოფილა მსჯელობა ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების არსზე, თუმცა სასამართლომ ასეთი მტკიცებულება არ ჩათვალა სარწმუნოდ. საქმის გარემოებების თანახმად, ბრალდებულს ერთ-ერთ ეპიზოდში ბრალად ედებოდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღება, რის დასამტკიცებლადაც ბრალდების მხარეს წარდგენილი ჰქონდა მოწმის ირიბი ჩვენება. მოწმე უთითებდა, რომ მესამე პირისგან იცოდა, რომ ბრალდებულს ამავე მესამე პირისგან ჰქონდა შეძენილი ნარკოტიკული საშუალება, თუმცა არ იცოდა თანხის გადაცემა მოხდა თუ არა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე, [...] ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა“. შესაბამისად, სასამართლო ვერ დარწმუნდა გონივრულ ეჭვს მიღმა პირის ამ ეპიზოდში ბრალეულობაში. მოცემულ საქმეში, სასამართლოს 76-ე მუხლი არც კი უხსენებია და არც ირიბი ჩვენების დასაშვებობაზე ყოფილა მსჯელობა.

ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენების საკითხზე მსჯელობისას, აღსანიშნავია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 აპრილის განაჩენი საქმეზე 1/950-11წ, სადაც დაზარალებულის ჩვენების გარდა, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი თითქმის ყველა ჩვენება სრულად ან ნაწილობრივ ირიბი ხასიათის ჩვენებაა. კერძოდ, საქმეში გ.გ.-ს ბრალად ედებოდა ქ.ჩ.-სთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა. სასამართლომ

დაზარალებულის მიერ მითითებული ფაქტის დასადასტურებლად სარწმუნოდ, უტყუარად და დამაჯერებლად მიიჩნია შემდეგი ჩვენებები -

(ა) დაზარალებულის მამის ჩვენება, რომელიც აღნიშნავდა, რომ დაზარალებული ტელეფონით დაუკავშირდა თავის დედას და შეატყობინა, რომ ტაქსით მოძრაობდა სოფ. წყალთაშუის მიმართულებით; მამის ჩვენებაში ასევე ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელმა „შეიტყო“, რომ ტაქსის მძღოლმა ბრალდებული და დაზარალებული დატოვა სოფ. წყალთაშუაში;

(ბ) დაზარალებულის დედის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია, რომ „მოიძიეს ტაქსის მძღოლი, რომელმაც განუცხადა, რომ გ. [ბრალდებული] და ქ. [დაზარალებული] მიიყვანა სოფ. ხანის მიმართულებით მიმავალ გზასთან“; ამავე ჩვენებაში მითითებულია, რომ მოწმესთან მივიდა პირი, „რომელმაც გადასცა ქ.-ს [დაზარალებულის] დანაბარები, რომ თუ ისინი პოლიციიდან განცხადებას არ გამოიტანდნენ, ცოცხალს ვეღარ ნახავდნენ“; ჩვენებაში ასევე ნათქვამია, რომ მოწმემ (დედამ) „ქ-სგან [დაზარალებულისგან] შეიტყო, რომ გ.გ-მ [ბრალდებულმა] მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანა სოფ. ზეკრის ტერიტორიაზე არსებულ მიტოვებულ სახლში, აღუკვეთა თავისუფლება, სცემდა და საჭმელ-სასმელს არ აძლევდა“;

(გ) მოწმეების ა.მ.-სა და ი.მ.-ს ჩვენებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის მიერ დაზარალებულის წაყვანის ფაქტი, მაშინ, როდესაც მოწმეები უთითებდნენ შემდეგზე: „მათთან მივიდა ზ.ჩ. და თხოვათ დახმარება მისი შვილის, ქ.ჩ.-ს [დაზარალებულის] მოძებნაში, რომელიც მისი ნების საწინააღმდეგოდ ჰყავდა წაყვანილი მის მეზობლად მცხოვრებ გ.გ.-ს [ბრალდებულს]. ძებნისას გაარკვიეს, გ.-ს [ტაქსის მძღოლს] წაუყვანია სოფელ ზეკარის მიმართულებით, [...] ასევე, შეხვდნენ ტაქსის მძღოლს გ.ს.-ს, რომელმაც განუცხადათ, რომ ქ. [დაზარალებული] და გ.[ბრალდებული] ავტომანქანით მიიყვანა სოფელ ხანის მიმართულებით მიმავალ გზასთან და იქ დატოვა. ასევე ზ. ჩ.-სგან შეიტყვეს, რომ 2011 წლის 29 ოქტომბერს ქ. [დაზარალებული] სახლში დაბრუნებულა, რომელსაც სახლში უთქვამს, რომ გ.გ.-ს [ბრალდებულს] უკანონოდ აღუკვეთავს თავისუფლება მისთვის და წაუყვანია სოფ. ზეკარის მიმდებარედ არსებულ მიტოვებულ სახლში, სადაც მასზე განუხორციელებია ფიზიკური და ფსიქიკური იძულება.“

(დ) მოწმე, ტაქსის მძღოლი გ.ს. კი აცხადებდა, რომ „მასთან მივიდა ქ.ჩ.-ს [დაზარალებულის] მამა ზ., რომელიც ეძებდა მის შვილს და სწორედ მისგან შეიტყო, რომ გ.გ.-ს [ბრალდებულს] მისი ნების საწინააღმდეგოდ ჰყავდა ქ. წაყვანილი“;

(ე) მოწმე ზ.გ.-ს ჩვენება კი სასამართლომ ჩათვალა დაზარალებულისა და ბრალდებულის სოფ. ხანის მიმართულებით გადაადგილების დამადასტურებელ ფაქტად, მაშინ, როდესაც მოწმის ჩვენების თანხმად, ამ უკანასკნელმა „2011 წლის 30



ოქტომბერს სოფლიდან დაბრუნების შემდგომ ბაღდათში დაბრუნებისას შეიტყო, რომ გ.გ.-ს [ბრალდებულს] გატაცებული ყავდა ზ. ჩ.-ს შვილი ქ.[დაზარალებული].“

მოცემული მტკიცებულებები ან მთლიანად სხვა პირის მონათხრობს ეყრდნობა ან წყაროს მითითების გარეშე აწვდის სასამართლოს ინფორმაციას (მამის ჩვენებიდან არ ჩანს, საიდან „შეიტყო“ ტაქსის მძღოლის მიერ დაზარალებულის წაყვანის ფაქტი, არ ჩანს ვისგან „გაარკვიეს“ მოწმებმა ა.მ.-მ და ი.მ.-მ ტაქსის მძღოლის მიერ ბრალდებულის და დაზარალებულის წაყვანის ფაქტი, ვერც მოწმე ზ.გ.-ს ჩვენებიდან ვიგებთ ვისგან შეიტყო ბრალდებულის მიერ დაზარალებულის გატაცების ფაქტი). აღნიშნული მტკიცებულებები კი სასამართლომ არამც თუ განიხილა რამდენად დასაშვები იყო იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის რედაქციით, არამედ უტყუარ მტკიცებულებად და დამაჯერებელ ჩვენებებადაც კი მიიჩნია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მსგავსია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ 2011 წლის 25 მარტის განაჩენი საქმეზე N1/453-11, რომელშიც სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) XXI თავით დადგენილი ნორმებით და განაცხადა: „საქართველოს სსსკ-ის XXI თავის მოთხოვნათა დაცვით, საქმის მასალების საფუძველზე, სასამართლომ განიხილა რა შუამდგომლობის დასაბუთებულობა მიაჩნია, რომ თ.გ.-ს, ნ.ლ.-ს, დ.ლ.-ს, გ.კ.-ს, შ.გ.-ს ჩვენებები; ხელშეკრულებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ფარული ჩანაწერი ადასტურებენ მ.მ.-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებას.“ მ.მ. გამტყუნებულ იქნა ქრთამის აღებისათვის. თუმცა ნ.ლ.-ს, დ.ლ.-ს, და შ.გ.-ს ჩვენებები წარმოადგენდნენ ირიბ ჩვენებას, კერძოდ: (ა) დ.ლ.-ს ჩვენების თანახმად, მას არ ჰქონია უშუალო კავშირი და საუბარი ბრალდებულთან თანხის გადაცემაზე. რაც შეეხება თანხის გადაცემას, რომელიც დაკვალიფიცირებული იყო როგორც ქრთამის გადაცემა ბრალდებულისათვის, დ.ლ.-ს ჩვენებიდან ირკვევა, რომ მხოლოდ თ.გ.-მ უთხრა, რომ მ.მ.-მ [ბრალდებულმა] თანხა მოთხოვა. დ.ლ. ასევე აცხადებს ჩვენებაში, რომ თანხის გადაცემის ფაქტსაც არ შესწრებია და თ.გ. მხოლოდ მიიყვანა სამმართველოს შენობასთან, სადაც მოხდა თანხის გადაცემა: “როდესაც მივედით მთავარ სამმართველოსთან, თ. ავიდა შენობაში. მე დავრჩი გარეთ და 20-25 წუთში მოვიდა უკან და მითხრა, მ.მ.-ს [ბრალდებულს] თანხა გადავეცდიო”. “თ-მ მითხრა, რომ მ.მ.-მ მოთხოვა 1500 დოლარიო და ჩვენ რადგან ეს თანხა დაკარგული გვეგონა და მ.მ. დაგვეხმარა თანხის აღებაში ჩავთვალეთ საჭიროდ რომ მიგვეცა ეს თანხა მ-სათვის.” დ.ლ. ასევე აცხადებდა: „როდესაც მივედით სამმართველოს შენობასთან თ.გ.-მ მითხრა რომ მ-სთან [ბრალდებულთან] ავალო. არ ვიცი როგორ ავიდა ზევით. მანქანა გარეთ მყავდა გაჩერებული და არ ვიცი როგორ ავიდა და სად შევიდა თ.გ.. 20-25 წუთში ჩამოვიდა და ვკითხე რა ქენით თქო და თანხა გადავეცი მ-სო. (ბ) შ.გ.-ს ჩვენებაში საერთოდ არ არის საუბარი ქრთამის გადაცემის ფაქტზე. მოწმე უთითებდა, რომ არ ჰქონია ინფორმაცია ბრალდებულის მხრიდან თ.გ.-სთვის ფულის მოთხოვნასთან ან გადაცემასთან დაკავშირებით. სხვა მოწმეთა ჩვენებებშიც არ არის საუბარი დანაშაულთან დაკავშირებულ ფაქტებზე, რომლებსაც ისინი თავად შეესწრნენ. ასეთი მტკიცებულებების გამოყენებისას

სასამართლოს არ უმსჯელია მათ დასაშვებობაზე, მაშინ, როდესაც მათი მეშვეობით შეიქმნა მტკიცებულებათა ერთობლიობა და დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

2013 წლის 14 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებამდე ირიბი ჩვენების დასაშვებობა განსაზღვრული იყო, თავდაპირველად, 1998 წლის საპროცესო კოდექსით, ხოლო მოგვიანებით 2009 წლის კოდექსით (ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბერს). ორივე შემთხვევაში, ირიბი ჩვენების დასაშვებობის წინაპირობა იყო ინფორმაციის წყაროს მითითება, თუმცა 2009 წლის კოდექსი დამატებით მოითხოვდა ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებებით დადასტურებასაც (ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა ირიბი ჩვენება ან სხვა ირიბი მტკიცებულება). კვლევის ფარგლებში გაანალიზებული განაჩენები კი ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოები მაინც იყენებდნენ ირიბ ჩვენებებს კანონით მათი დაუშვებლად ცნობის საფუძვლის არსებობის მიუხედავად. ამასთან, თუ საქმეში არსებული ირიბი ჩვენების წყარო ცნობილი იყო, სასამართლო არ მსჯელობდა მათ არსზე და დასაშვებად მიჩნევის საფუძვლებზე.

### ***2013 წლის 14 ივნისის ცვლილებების შემდგომ გამოტანილი განაჩენები***

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ პერიოდშიც არის რამდენიმე საქმე, სადაც ირიბი ჩვენების მტკიცებულების სახით გამოყენების ანალიზი საინტერესო იქნება. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე N123-აპ-13 ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია. საქმეში ბრალდებულებს ბრალად ედებოდათ პირის ძარცვა, სადაც ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაში გადმოცემულია დაზარალებული თურქი პიროვნების სიტყვები, მაშინ, როდესაც მოწმემ თურქული ენა არ იცოდა და მისი განცხადებით, პოლიციელის ნათქვამის მიხედვით იცოდა, რას ამბობდა დაზარალებული. სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ „76-ე მუხლის თანახმად, ირიბი ჩვენება მაშინ არის დასაშვები, თუ ის დასტურდება ინფორმაციის წყაროს მითითებით. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში მტკიცებულებების სახით არ არის წარმოდგენილი იმ პოლიციელების ჩვენებები, ვისგანაც მ.ს.-მ [ირიბი ჩვენების მიმცემმა მოწმემ] მოისმინა ზემოაღნიშნული ინფორმაცია“. ამ მსჯელობის შედეგად, სასამართლომ ბრალდებულების მიერ ძარცვის ჩადენის ფაქტი დადგენილად არ ჩათვალა .

მეორეს მხრივ, რამდენიმე საქმეში, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია ირიბი ჩვენების საფუძველზე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 ნოემბრის განაჩენიდან საქმეზე №1-817/14წ ირკვევა, რომ პროცესზე მოწმედ დაიკითხა გამომძიებელი, რომელმაც მიუთითა მის მიერ იმ პოლიციელების დაკითხვის შესახებ, რომელთაც უშუალოდ დააკავეს ბრალდებული. გამომძიებლის ჩვენების თანახმად, დაკითხული პოლიციელები „აცხადებდნენ, რომ ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას და აწარმოებდნენ შემოვლას; მიმდებარე ტერიტორიაზე შემოესმათ ხმა, დაიჭირეთ ქურდი გარბისო, იქვე ახლოს იყვნენ,

დაედევნენ და დააკავეს ბრალდებული ზღვის სანაპიროზე; კონკრეტული ადგილი არ იცის; იცის , რომ იყო ზღვის სანაპირო; პოლიციელები ფეხით მოძრაობდნენ, როგორც ახსოვს“. აღნიშნულ ჩვენებაზე სასამართლო არ უთითებს, რომ იგი არის ირიბი და არც განმარტავს, რატომ ჩათვალა იგი დასაშვებ მტკიცებულებად.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განაჩენით საქმეზე N1/593-13, სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრალდებული მაშინ, როდესაც საქმეში წარდგენილი ყველა ჩვენება, გარდა დაზარალებულებისა, ირიბია და დაზარალებულების ჩვენების გადმოცემას წარმოადგენს. ირიბი ჩვენებების პირველწყაროებიც დაკითხულ იქნენ ამავე სასამართლო პროცესზე და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას არა მხოლოდ დაეყრდნო ირიბი მოწმეების ჩვენებებს, არამედ როგორც გადაწყვეტილების ტექსტიდან ირკვევა, არ გაიზიარა დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები, რამდენადაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილ გარემოებებს. უდავოა, რომ ირიბმა ჩვენებებმა შექმნა მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის მცდარი აღქმა და პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი გახდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი კი ამის საშუალებას იძლეოდა, რამდენადაც ირიბ ჩვენებაში მოყვანილ ფაქტებს პირდაპირი ჩვენებაც ადასტურებდა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე N207აპ-13, სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და ორი პირი ცნო დამნაშავედ ყაჩაღობისათვის, ხოლო მტკიცებულებად დაზარალებულთა მიერ ამოცნობის ოქმების და მათივე ჩვენების გარდა, გამოყენებული იქნა გამომძიებლების ჩვენება, რომლებმაც დაადასტურეს რომ დაზარალებულებისგან მიიღეს ისეთივე ჩვენებები, როგორც მათ სასამართლოში მისცეს. აღნიშნული გარემოებები საკმარისი აღმოჩნდა უზენაესის სასამართლოსათვის, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დარწმუნებულიყო ბრალდებულთა დამნაშავეობაში. სასამართლომ მიუთითა, რომ „საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულთა ჩვენებები არის თანმიმდევრული და დამაჯერებელი, ისინი თანხვედრილია როგორც ერთმანეთთან, ისე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან“.

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N2კ-218აპ-14, სადაც ბრალდებული გამართლდა ერთ-ერთ ეპიზოდში. კერძოდ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულის მიერ ბრალად შერაცხული ფაქტი (ქურდობა) დასტურდებოდა მხოლოდ ერთი მოწმის ირიბი ჩვენებით - ინსპექტორ-გამომძიებლის ჩვენებით, რომელიც განმარტავდა, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად კომპიუტერი მოიპარა ბრალდებულმა. სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის როგორც 75-ე მუხლის პირველ ნაწილზე („მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წყაროს“), ასევე 76-ე მუხლზეც და უარი თქვა მოწმის ჩვენების იმ ნაწილის გაზიარებაზე, რომელიც ბრალდებულის მიერ ნივთის მოპარვას ეხებოდა, „ვინაიდან წარმოდგენილი ინფორმაციის წყარო არის ოპერატიული ინფორმაცია. ამასთან, [...] ირიბი ჩვენების გადამოწმება

შეუძლებელია ინფორმაციის თავდაპირველ წყაროსთან“. შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი არც ფაქტის დასადგენად და არც ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისათვის, ვინაიდან არ აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

2013 წლის 14 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ირიბი ჩვენების დასაშვებობის წინაპირობაა როგორც ინფორმაციის წყაროს მითითება, ასევე წყაროს იდენტიფიცირების და მისი რეალურად არსებობის შემოწმების შესაძლებლობა. ამასთან, ირიბი ჩვენება უნდა დასტურდებოდეს სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ამ მიდგომით, ირიბი ჩვენების გამოყენება საგრძნობლად უნდა შეზღუდულიყო, თუმცა ხშირ შემთხვევაში, განაჩენებში მაინც არის ირიბი ჩვენება გამოყენებული და მათ საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენიც არის გამოტანილი. არაერთ შემთხვევაში, ირიბი ჩვენება მოქმედი კანონმდებლობითაც დაუშვებელი უნდა ყოფილიყო (წყაროს არარსებობის გამო), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს არასწორად ესმოდა კანონის ეს მოთხოვნა. მეორეს მხრივ, კვლევამ ცხადყო, რომ სასამართლო მხარეების მითითების გარეშე, შესაძლოა, არც კი მსჯელობდა ჩვენების ხასიათზე და დასაშვებად მიჩნევის საფუძველზე, რამდენადაც განაჩენში არ ყოფილა განმარტებული რის გამო იყენებდა სასამართლო ჩვენებას, რომელიც 76-ე მუხლის თანახმად დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

## დასკვნა

### *გამოკვეთილი ტენდენციები*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი გამოავლენს გარკვეულ ტენდენციებს:

- საერთო სასამართლოები საქმეზე „ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების შემდგომ განაჩენებში თუ განჩინებებში მსჯელობენ ირიბი ჩვენების გამოყენების თაობაზე და მიუთითებენ, რომ ვერ დაეყრდნობიან ასეთ მტკიცებულებებს;
- უმრავლეს შემთხვევაში, საერთო სასამართლოები აცხადებენ, რომ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა შეუძლებელია, იშვიათად მიუთითებენ, რომ ასეთი მტკიცებულება სრულად უნდა ამოირიცხოს საქმიდან;
- გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, მაშინ როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად არის ირიბი ჩვენების გამოყენება დაუშვებელი;
- ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოები ჩვენებებს არ ეყრდნობიან არა იმიტომ, რომ ისინი ირიბი ჩვენებებია, ე.ი. სხვა პირის მიერ მოთხრობილ ინფორმაციას გადმოსცემენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ირიბი ხასიათის მტკიცებულებებია და არ მიუთითებენ უშუალოდ ინკრიმინირებულ ქმედებაზე;
- სასამართლო, ზოგ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ამბობს უარს ირიბი ჩვენების გამოყენებაზე, ამ დროს კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მოქმედი რედაქციით ასეთი ჩვენებები მაინც დაუშვებელი იქნება (შეუძლებელია წყაროს მითითება).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე არსებული რამდენიმე საქმის ანალიზით გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

- საერთო სასამართლოები ყველა შემთხვევაში არ ეყრდნობოდნენ ირიბ ჩვენებებს და არის გადაწყვეტილებები, როდესაც სასამართლომ ისინი არ გამოიყენა იმ დროს მოქმედი კანონის მოთხოვნების შესაბამისად ან სისხლის სამართლის პროცესის სტანდარტებიდან გამომდინარე იმ საფუძვლით, რომ ასეთი ჩვენება არაა უტყუარი;
- ხშირ შემთხვევაში, სასამართლოები დასაშვებად ცნობდნენ და ეყრდნობოდნენ ირიბ ჩვენებას მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის მოქმედი სტანდარტები ჩვენების დასაშვებობაზე ან ირიბი ჩვენების დასაშვებობაზე ისედაც არ იძლეოდა ამის

საშუალებას (წყაროს იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო) და სასამართლოს არც კი ჰქონდა ნამსჯელი რატომ დაუშვა ასეთი მტკიცებულებები;

- ირიბი ჩვენებების გამოყენებით და მათი მტკიცებულებად დაშვებით იქმნებოდა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც სხვა, შესაძლოა, უფრო უტყუარ მტკიცებულებას აყენებდა ექვევემ და, შესაბამისად, დგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი;
- სასამართლოს მიერ ირიბი ჩვენების დაშვებისას, არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს განმარტება, თუ რატომ დაუშვა სასამართლომ ისინი საქმეში. უფრო მეტიც, არც კი არის მითითებული, რომ ესა თუ ის ჩვენება ირიბია. ასეთი მსჯელობა მხოლოდ მაშინ ჩანს განაჩენებში თუ სხვა აქტებში, როდესაც სასამართლო უარყოფდა მათი გამოყენების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ განაჩენებსა და განჩინებებში, საერთო სასამართლოები ირიბი ჩვენების გამოყენებაზე უარს აცხადებენ სწორედ 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. თუმცა, არაერთ შემთხვევაში გამოვლინდა, რომ ჩვენებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დღეს მოქმედი 76-ე მუხლის შესაბამისად ისედაც დაუშვებელი მტკიცებულებებია. კერძოდ, როდესაც მოწმე ვერ უთითებს ინფორმაციის წყაროს: „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია (მუხლი 76 ნაწილი 2).“ ის ფაქტი, რომ სასამართლო ამ მტკიცებულებებზე განაჩენში მსჯელობს, ნიშნავს, რომ ეს მტკიცებულებები გამოკვლევის ეტაპზე დასაშვებად იქნა ცნობილი. შესაბამისად, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში არასწორად გამოიყენა საპროცესო ნორმები.

ასევე, პრობლემურია, თუ რამდენად სწორ ეტაპზე ხდება ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ. კერძოდ, თუკი ირიბი ჩვენების გამოყენებაზე უარს სასამართლო აცხადებს განაჩენის გამოცხადების ეტაპზე, ეს მიუთითებს, რომ წინა ეტაპების განმავლობაში ირიბი ჩვენებები მტკიცებულებათა შორის იყო. მართალია, საკვლევი პერიოდის მანძილზე გამოტანილი განაჩენების უმრავლესობაზე წარმოება დაწყებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის დადგომამდე საქმის მიმდინარეობისას მტკიცებულებათა შეფასება განსხვავებულად ხდებოდა. ამ მიმართულებით ხაზი უნდა გაესვას, რომ აუცილებელია, სასამართლომ მიმდინარე საქმეებზე გაითვალისწინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები და პროცესის შესაბამის ეტაპზე (წინასასამართლო სხდომაზე) მოხდეს დაუშვებელი მტკიცებულებების ამორიცხვა.

საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა - საერთო სასამართლოები სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას ირიბ ჩვენებებს, რომლებიც

დაუშვებელია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით (მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა) დასაშვებ მტკიცებულებად თვლიან შესაბამის საპროცესო ეტაპზე, რა დროსაც არღვევენ მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას (კერძოდ, 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მტკიცებულებების გამოკვლევა წინასასამართლო სხდომაზე ხდება, თუმცა დასაშვებობის სტანდარტების გათვალისწინება, როგორც ჩანს, სრულად არ ხდება ამავე ეტაპზე); მეორეს მხრივ კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ირიბი ჩვენების გამოყენება პრაქტიკაში ძირითადად ხდებოდა კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თუმცა არა კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად.

### **რეკომენდაციები**

საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიმოხილვის შედეგად, გამოიკვეთა ცალკეულ საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებების/რეფორმის გატარების საჭიროება. კერძოდ:

- ✓ აუცილებელია განისაზღვროს როგორც ბრალდების ისევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები;
- ✓ საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს ისეთ მტკიცებულებათა დეფინიცია და დასაშვებობის კრიტერიუმები, რომლებიც არაა ირიბი ჩვენება, მაგრამ წარმოადგენს ირიბ მტკიცებულებას - მაგალითად, როდესაც მოწმის ჩვენება არაა დაკავშირებულ ინკრიმინირებულ ქმედებასთან, მაგრამ სასამართლოს აწვდის ინფორმაციას სხვა ფაქტზე პირდაპირ. სასამართლოები ასეთ ჩვენებასაც ირიბს უწოდებენ ან მოიხსენიებენ როგორც ირიბ მტკიცებულებას. სწორედ ამიტომ საჭიროა მკაფიო დეფინიციის შემოღება;
- ✓ აუცილებელია, ირიბი ჩვენებების დასაშვებობის კრიტერიუმების ამომწურავად განსაზღვრა განჭვრეტადობის პრინციპიდან გამომდინარე, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოცემული მსჯელობა.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, საჭიროა, ინსტიტუციონალური ნაბიჯების გადადგმაც:

- ✓ სასურველია, საერთო სასამართლოებმა ყურადღება მიაქციონ ირიბი ჩვენების ტიპოლოგიას მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, კერძოდ როდესაც ირიბი ჩვენებაა საქმეში, უნდა იყოს განხილული რატომაა იგი ირიბი და, შესაბამისად, მისი დასაშვებობის საკითხზეც უნდა იყოს მსჯელობა. კვლევამ ცხადყო, რომ ეს საკითხი

ყოველთვის პრობლემური იყო და ხშირად საქმის განხილვის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის უგულებელყოფაც კი ხდებოდა კერძოდ , ჩვენება საქმეში ისე იყო გამოყენებული, რომ არც კი იყო აღნიშნული, რომ ირიბი იყო და რატომ დაუშვა იგი სასამართლომ;

- ✓ მნიშვნელოვანია, მტკიცებულებათა სისხლის სამართლის საქმის განხილვის სწორ ეტაპზე ამორიცხვა (წინასასამართლოს სხდომაზე ამორიცხვა), რათა მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს არ შეექმნათ მცდარი შინაგანი რწმენა დაუშვებელი მტკიცებულების არსებითი განხილვის ეტაპზე მოსმენით;

სსსკ 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს არა მარტო ის, იყო თუ არა საქმეში ირიბი ჩვენება, არამედ რამდენად იმოქმედა მან მტკიცებულებათა ერთობლიობის შექმნასა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაზე და სათანადოდ დაასაბუთოს ამ შეფასების შედეგები.